K9.153
4

# სულხან საბა ორბელიანი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ႱႳႪႾႠႬ-ႱႠႡႠ ႭႰႡႤႪႨႠႬႨ

# იგავ-არაკები



მხატვარი
ლადო გუდიაშვილი

სახლიტგამი
1959

საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი
K 9.153
4
8ст-3

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის.

ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სამაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომშმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმარეა, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის ნამტებია.

ამხანაგის უკეთესსა შენ რას იპოვნი?

საბა-სულხან ორბელიანი.

სპბ-2000
შემოწმებულია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძალა ერთობისა

მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა მეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დალეწა. უთხრა შვილთა თვისთა:—თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წეღან შეკრული ისარი ვერ გავტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საჯარო

# ორნი ძმანი

ორნი ძმანი იყვნენ. უხუცესს ცოლ-შვილი ჰყვა და მრწემი უცოლო იყო. გაიყარნენ ძმობისაგან და ერთად ვეღარ დადგნენ. ყოველივე გაიყვეს, რაც ჰქონდათ. რა პური გაიყვეს, ერთის ორმო კალოს აქათ იყო და მეორისა იქით. უხუცესი მოიპარევდის თავის ორმოდამა პურსა და ძმისაში ჩაყრიდის და იტყოდის: — მე ღმერთმან ცოლი და შვილი მიბოძა, მომკ[illegible]ბელნი მყვანან. მას ძმას არა რა ჰყავს. ესე მისი იყოს და მან ჭამოს. — და იგი უმრწემესი ძმა მოიპარევდის თავის ორმოდამ და უხუცესისაში ჩაჰყრიდის: — მე მარტო ვარ და ჩემი სარჩო, სადაც მივალ, ადვილ არს; იგი, ძმა ჩემი, წვრილშვილი არს და მას უფროსი უნდება და მისი იყოს. — ეგრე დაჰყვეს ყოველნი დღენი და ღმერთმან ორთავ განუმრავლა ყოველი და არა მოაკლდა საზრდო მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეფე და მხატვარი

მეფე ლავდიკიისა იყო ბრმა ცალის თვალითა. ჰყვა მხატვარი ხელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა: — მინდა მსგავსი ჩემი ხატი დამიხატო! — თქვა გულსა შინა მხატვარმან: — აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისა. თუ ბრმა დავხატო, მომკლავს: — ვით მკადრეო, — თუცა ორთვალი, მომკლავს: — როდის არს მსგავსი ჩემიო? — მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი, მეფეს ხელთა თოფი მისცა. მას ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმეს მიზეზი ვერა პოვა, და მორჩა მხატვარი იგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ენით დაკოდილი

ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდნენ. აწვია კაცმან მან დათვი იგი, ლხინი აჩვენა. დათვი დაეთხოვა, გამოესალმა და მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცნინა დათვისათვის. მას დიაცსა რა დათვის სიმყრალე ეცა, განერწყვა და თქვა: — პირმყრალს სტუმარს ვერ ვეწყობიო! — წავიდა დათვი. და მერე ეს კაცი ეწვია და თან ცული წაიღო: — მით შეშას დავკოდ და წამოვიღებო! — მოვიდა დათვი და რაც იმათ ეფერებოდა, იმგვარად იალერსეს. მერმე დათვმა დაუჯინა: — თავზე ერთი ცული დამკარ და დამკოდეო! — მან კაცმან უარი თქვა. დათვი არ მოეშვა. დაჰკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა. მეორეს თვეს შეიყარნენ. დათვს თავი გამთელებოდა. დათვმან უთხრა: — ძმაო, შენის ცულით დაკოდილი თავი კი გამიმთელდა, და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკ



# ძუნწი და ოქრო

ერთმან კაცმან დიდმალი ოქრო მიწასა დაფლა. დღე ყოველ მივიდის, ადგილი იგი ნახის. შეამცნივა ერთმან სხვა კაცმან და თქვა: — მივიდე, ადგილი იგი მოვთხარო, რომელსა კაცი იგი ხშირად ნახავს, და ვნახო, რა უცანო? — მივიდა და ღამე მოთხარა ოქრო იგი, წაიღო, მის წილ ლოდი დამარხა. მოუნდა კაცსა მას ნახვა ოქროსი. მოთხარა, ნახა: ოქროსა ნაცვლად ლოდი იდვა. დაიწყო ტირილი და ვაება. მივიდა კაცი იგი მომპარავი, ჰკითხა: — რას სტირიო? — მან უთხრა: — ოქრო დავფალ, დახარჯვა არ მენება, იგი მოუპარავთ და მის წილ ლოდი დაუფლავთო. — უთხრა მან კაცმან: — ვაი შენდა! რად სტირი? მაგ მიწაში თუნდა ოქრო იდვას, თუნდა ქვაო, თუცა არ დახარჯევდიო!



# უტკბესი და უმწარესი

ერთმან მეფემან უბრძანა თვისსა ვაზირსა: — წადი, ასეთი საჭმელი მომიტანე, რომე ხმელზე მის უტკბესი არა იყოსო და არც ზღვასა შინა იპოებოდესო! — წავიდა ვაზირი, ენა უყიდა; მოუტანა; შეწვა, აჭამა. მოეწონა. მეორედ უბრძანა: — წადი, ასეთი მომიტანე, მის უმწარესი არ იპოებოდესო ქვეყანაზე! — წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა. უბრძანა მეფემან: — მწარე ვითხოვე, ენა მომიტანე და ტკბილი ვითხოვე და ენა მომიტანე. — მოახსენა ვაზირმან: — თავმან შენმან, არცარა ენის უტკბოსი იქნებისო და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# კატის გაზრდილი ლომი

ერთი კატა დაიარებოდა. ნახა, ერთი მუ ლომი მომკვდარა და ერთი ლეკვი დარჩომია. წაიყვანა და ზრდა დაუწყო. რა გაიზარდა და დიდი შეიქმნა, დაიწყო ნადირობა და ნადირის ჭამა. დღესა ერთსა ნადირი ვეღარ იშოვნა, თავისი გამზრდელი კატა მოინდომა შესაჭმელად. კატამ რა შეიტყო, გაექცა და ხეზე გავიდა. ლომი ძირს წამოუწვა, უთხრა:— ჩემო დედის უსაყვარლესო და ჩემო გამზრდელო და დამარჩენელო, ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზე გასვლა რად აღარ მასწავლეო?— კატამან უპასუხა:— ეს ჩემთვის შევინახე; რა ასრე გამიჭირდებოდა, მომეხმარა.



## კუ და მორიელი

ერთი კუ და ერთი მორიელი დაძმობილდნენ. წავიდნენ გზასა. გასავალი წყალი დახვდათ. მორიელი დაღონდა, გასვლა არ ეძლო. კუმ უთხრა: — ზურგს შემაჯექ, მე გაგიყვანო! — შეაჯდა მორიელი ზურგს. კუ რა წყალში შეცურდა, მორიელმან ზურგზე კბენა დაუწყო. კუმ ჰკითხა: — ძმაო, რას იქმო? — მორიელმან უთხრა: — რა ვქნა, არც მე მნებავს, მაგრა ასეთის გვარისანი ვართ, მტერსა და მოყვარეს ყველაფს უნდა ვუკბინოთო. — კუმ დაიყურყუმალავა, მორიელი წყალს მისცა და უთხრა: — ძმაო, არც მე მნებავს, მაგრამ ჩემი გვარი თუ გესლიანს ხორცსს არ გაიბანს, გაუსივდება და მოკვდებაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ქორი და იხვი

ერთმან ქორმან ერთი იხვი შეიპყრა და ჭამა ენება. იხვი ეგრევე ცოცხალი ეპყრა, ზევიდამ მონადირისაგან შეშინებულმან ერთმან კაკაბმან ჩამოუარა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იგი იხვიც ჭანგიდამ დაეხსნა და წაუვიდა. ვეღარც კაკაბს მოეწია და მეორეც დაეკარგა და წავიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთიული და კაკლის ხე

კაცი ვინმე იყო ზეგანთა ალაგთა მყოფი, რომელსა წალკოტი არა ენახა. ჩამოვიდა ბართა ადგილთა, წალკოტი ნახა. შევიდა შიგან და ყოველივე ნახა: ხეხილი, მწვანვილი. დია მოეწონა და ღმერთს მადლობა მისცა: — ყველა კარგად გაგირიგებია და ეს ავადო; ცოტას ბალახისათვის ნესვი მოგიბამს და დიდის ხისათვის ნიგოზიო! — მიიარ-მოიარა და ნიგოზთა ძირსა დაემინა, მოვიდა ყვავი, ზედ შემოჯდა, კაკალი ჩამოაგდო. მას კაცს შუბლში დაეცა და გაუტეხა. აღდგა კაცი იგი და თქვა: — ღმერთო, შენ უკეთ გაგირიგებიაო. თუ იქ ამისგან უდიდესი ბმოდა, თავს გამიჭყლეტდაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნალბანდი მგელი

ერთი მგელი მოუხდა ვირსა, შეჭმას ლამობდა. ვირმა უთხრა: — ვიცი, შემჭამ, ეს ანდერძი ამისრულე: ქაჩაჩში ლურსმნის ნატეხი დამრჩა და იგი ამოიღეო! — მგელმან პირი მიჰყო, უნდა ამოეღო. ვირმა ტყუპად წიხლი ჰკრა, კბილები ჩაამტვრია მგელსა. ვირი ვეღარ შეჭამა. მგელმა თქვა: — მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საჯარო
ბიბლიოთეკა

# ორმოში ჩაგდებული მეფე

ორნი მეფენი შეიბნენ. ერთმან მეორესა სძლო, შეიპყრა და ორმოში ჩააგდო. გამოხდა ხანი. მოვიდა ერთი მეცნიერი კაცი და ენება ამოყვანება და გაჯარება მისი. ჩასძახა ორმოსა შიგან და უთხრა:— კარგა არ ვიქმ, რომ გაგაჯაროო?—მან მეფემან მადლი უბრძანა. თოკით ამოზიდნა და ამოიყვანა. კიდევ უთხრა:—კარგად არა ვქმენ, რომ ამოგიყვანეო?—მეფემან კიდევ მადლი უბრძანა. მესამედ კიდევ უთხრა:— კარგად ვქმენო?—ეწყინა მეფესა და დაიძახა:—ვინა ხართ, ამ კაცმან გამაჯარაო!—მივიდნენ მცველნი, შეიპყრეს ორნივე. ჰკითხეს მეფესა:—რად გაამჟღავნე და რად არ გაიჯარეო?—მან თქვა:—ვირემ ამომიყვანდა საყვედურით ამავსო. თუ შინ მიმეწია, კიდეც დამარჩობდა, აქავ ყოფნა ვირჩიეო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ძაღლები და მგელი

ერთი მძორი იდვა ადგილსა ერთსა. შვიდი-რვა ძაღლნი ეხვივნენ, სჭამდნენ მძოვრსა, იღრინებოდნენ, შუღლობდნენ და კბენდნენ ერთმანეთსა. ნახეს მგელი მომავალი. მათი შუღლი, ღრენა და კბენა გაუშვეს და ყოველთა ერთად შეუტივეს და მგელი გააძეს. მოიქცნენ და მასვე მძორზე შუღლი დაიწყეს. რამდენჯერ მხეცს ნახევდნენ, მას ერთპირ გაუსდიან და მერმე ეგრევე შუღლობდიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გლახაკი და ქილა ერბო

ერთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა ზედა და ერთი ქილა ერბო ჰპოვა. აიღო ქილა, საკიდარში ჯოხი გაუყარა და მხარზე შეიდვა. დაიწყო გზაგზა სვლა და გულთა ამასა უბნობდა: — აწ გამდიდრება ჩემი მოინება ღმერთმან. ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი; მით თორმეტს სამამლე წიწილას ვიყიდი, მოვიყვან, დავზრდი, დავყვერავ, დავასუქებ და თითოს თითო აბაზად დავყიდი. მერმე მით საეშვე გოჭებს ვიყიდი, დავასუქებ, დავაკერატებ და ორ-ორ მარჩილად დავყიდი. მერმე მით სახარე ხბორებს ვიყიდი, ხარებს დავზრდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქმნები. — ამ გულისთქმაში შემა აუდვა და ქალაქს გასასყიდად წამოიღო. ერთი ხიდი დახვდა. თქვა მან კაცმან: — აქ ხარი არ გაიარს, ხმა გავცეო. — შესძახა: — ჰარიო! — დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანი ხიდზე დაჰკრა, ქოთანი გატეხა, ერბო დაიქცა. მისის გულისთქმით გამდიდრება წუთზე წაუხდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს ა რ ჩ ე ვ ი


| | გვ. |
|---|---|
| ძალა ერთობისა | 4 |
| ორნი ძმანი | 6 |
| მეფე და მხატვარი | 8 |
| ენით დაკოდილი | 10 |
| ძუნწი და ოქრო | 12 |
| უტკბესი და უმწარესი | 14 |
| კატის გაზრდილი ლომი | 16 |
| კუ და მორიელი | 18 |
| ქორი და იხვი | 20 |
| მთიული და კაკლის ხე | 22 |
| ნალბანდი მგელი | 24 |
| ორმოში ჩაგდებული მეფე | 26 |
| ძაღლები და მგელი | 28 |
| გლახაკი და ქილა ერბო | 30 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგინა ა. მჭედლიძემ

რედაქტორი ვ. ძიძიგური
მხატვ. რედაქტორი გ. დიკი
ტექრედაქტორი შ. ლოლობერიძე
კორექტორი მ. მთვრალაშვილი

* * *

გადაეცა წარმოებას 10|III-59 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 12|VI-59 წ.
სააღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 4,17
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4.5
ანაწყობის ზომა 9X12 1|2
ქაღალდის ზომა 60X92 1|8
ტირაჟი 10.000
შეკვ. № 365
ფასი 3 მან.

---

დაიბეჭდა ფოტოცინკოგრაფიაში — პლეხანოვის გამზ. 50
აიკინძა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში — მარჯანიშვილის ქ. № 5



ვ 75/413